სტუდენტთა მიღწევების შეფასება

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული უმაღლესისა და ბაკალავრიატის სწავლების სტუდენტებისათვის შუალედური შეფასებები მოიცავს ორ ტესტირებას და 15 ყოველკვირეულ შეფასებას:
   - ყოველკვირეული ჯამური (სემესტრული) მაქსიმალური შეფასება არის 15 ქულა (1 ქულა X 15 კვირა);
   - I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
   - II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 25 ქულა;
2. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის შუალედური შეფასებები მოიცავს ორ ტესტირებას :
   - I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;
   - II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;
3. სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტებისათვის დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 40 ქულას;
4. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების (ყოველკვირეული შეფასებების და შუალედური ტესტირებების) ჯამში დაგროვებული აქვს 11 და მეტი ქულა, ამასთან შესრულებული აქვს სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/პრაქტიკული/საკურსო და ა.შ.);
5. საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტი არაა ვალდებული გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, თუ მას შუალედური შეფასებების ჯამში უგროვდება 51 და მეტი ქულა, ამასთან შესრულებული აქვს სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/პრაქტიკული/საკურსო და ა.შ.);
6. შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში 41-50 ქულის დაგროვებისას (FX შეფასება – ვერ ჩააბარა), სტუდენტს ეძლევა იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
7. დეკანის ბრძანებით, დასკვნითი გამოცდის აღდგენის (დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის) უფლება იმავე სასესიო პერიოდში ეძლევა სტუდენტს, რომელსაც აღნიშნული გამოცდის ჩატარების დღეს ჰქონდა დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო გაცდენა;
8. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა;
9. შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში 41-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (F შეფასება – ჩაიჭრა), აგრეთვე შუალედური შეფასებებისა და მე-6 ან მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ დამატებით გამოცდაზე გასვლის შედეგად 51-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (შეფასებები FX ან F), სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;
10. სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) პუნქტი "შეფასების სისტემა" შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი წინამდებარე დანართთან.